THEORETICAL RELATION OF T.S. ELIOT AND ENGLISH MODERNISM TO THE ENLIGHTENMENT OF JEAN-JACQUES ROUSSEAU [1]

ტ.ს. ელიოტისა და ინგლისურენოვანი მოდერნიზმის თეორიული კავშირი ჟან ჟაკ რუსოს განმანათლებლობის მოძღვრების მიმართ [2]

Lizi Dzagnidze
PhD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, 1 Ilia Tchavtchavadze Avenue, I, 0179, Georgia
+995 555 38 78 81, lidzagnidze@cu.edu.ge,
https://orcid.org/0009-0008-7380-6968

Abstract. According to prevalent thinkers of the late 19th and early 20th centuries (T.S. Eliot, T.E. Hulme, I. Babbitt etc.), the dominance of modified Renaissance ideals resulted in the natural degradation of European society, in the loss of values, and the eventual cultural crisis. According to respective 'crisis thinkers', the main problematic factor for the negative development of this process could be attributed to the ideology of Enlightenment, more specifically to a seemingly unrelated figure, the 18th century philosopher Jean-Jacques Rousseau. Modernists, often with very scornful attitude, openly defied Rousseau along with his ideology, accusing him of creating dangerous nihilism and moral anarchy that had virtually destroyed the civilisation of the West. In this investigation, the paper examines the origins, grounds, and consequences of this notable controversy. It highlights the attitude towards Rousseau regarding one of the most important features of Modernism - the tendency of revaluating European cultural traditions. The paper offers intricate analysis of Ruousseau's Enlightenment ideals, focusing on his emphasis on individualism, the state of nature, and connection between human naure and society. In this regard, the paper clearly outlines two opposing ideologies in the history of literature and culture, represented on the one hand by T.S. Eliot, other prominent Modernists and 'crisis theorists', and on the other hand, by the Enlightenment, in particular, Jean-Jacques Rousseau. The aim of the article is not only to outline the tendency of revaluing cultural traditions, but also to analyze the conflicting significance of Rousseau's enlightenment in the theoretical principles of the formation of literary modernism. Ultimately, this paper expands our understanding of the interplay between Enlightenment thought and literary modernism by illuminating how T.S. Eliot's work provides a unique lens through which to view the ongoing legacy of Rousseau's ideas in the 20th century.

Keywords: Modernism, T.S. Eliot, Enlightenment, Humanism, Jean-Jacques Rousseau

[1] The presented research is a part of the doctoral grant project (PHDF-22-869) funded and supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

[2] წინამდებარე სტატიაზე მუშაობა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. გრანტის ნომერი PHDF-22-869.

ლიზი ძაგნიძე
დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1, 0179, საქართველო.
+995 555 38 78 81, lidzagnidze@cu.edu.ge,
https://orcid.org/0009-0008-7380-6968

აბსტრაქტი. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის რიგ მოაზროვნეთა წარმოდგენით (ტ.ს. ელიოტი, ტ.ე. ჰიუმი, ი.ბებიტი და ა.შ.), რენესანსულ იდეალთა გაბატონებამ ევროპული საზოგადოების თანდათანობითი დეგრადაცია, ფასეულობათა ნიველირება და საბოლოო კატასტროფა გამოიწვია. ამ პროცესის მთავარ პრობლემად კი ე.წ. კრიზის ხანის მოაზროვნეები განმანათლებლობის მოძღვრებას, უფრო კონკრეტულად კი მე-18 საუკუნის ფრანგ ფილოსოფოს ჟან-ჟაკ რუსოს ასახელებდნენ. თავიანთ თეორიულ ნაშრომებში მოდერნისტები ხშირად მკაცრად აკრიტიკებდნენ რუსოსა და მის იდეოლოგიას, ბრალს დებდნენ სახიფათო ნიჰილიზმისა და ისეთი მორალური ანარქიის ჩამოყალიბებაში, რომელსაც მთელი ევროპული ცივილიზაციისთვის დამანგრეველი ეფექტი ჰქონდა და, ფაქტობრივად, ცენზორების როლში გამოდიოდნენ. სტატიაში გამოკვლეულია ამ მეტად საგულისხმო პოლემიკის საფუძვლები, მიზეზები და შედეგები. რუსოსთან დამოკიდებულების გამოკვეთა დაკავშირებულია მოდერნიზმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებასთან - ევროპულ კულტურულ ტრადიციათა გადაფასებისაკენ სწრაფვასთან. მსჯელობის ნაწილში ასევე განხილულია ის სისტემა, რომელიც რუსოს 'სახიფათო' მოაზროვნეს და ხშირი კრიტიკის ობიექტს ხდიდა მოდერნისტებისთვის. ამ მხრივ, საყურადღებოა ბუნებისა და ადამიანის ასახვის ტენდენციები როგორც განმანათლებლობის, ისე მოდერნიზმის ფარგლებში. სტატიაში გამოკვეთილია ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში ორი ურთიერთსაპირისპირო იდეოლოგია, რომელსაც წარმოადგენს ერთის მხრივ, ტ.ს. ელიოტი, მოდერნისტები და ე. წ. კრიზისის თეორეტიკოსები, ხოლო მეორე მხრივ, განმანათლებლობა და კერძოდ, ჟან-ჟაკ რუსო. საბოლოოდ, სტატიის მიზანია არა მარტო კულტურულ ტრადიციათა გადაფასების ტენდენციის გაანალიზება, არამედ რუსოს განმანათლებლობის ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის განსაზღვრა ლიტერატურული მოდერნიზმის ჩამოყალიბების თეორიულ პრინციპებში.

საკვანძო სიტყვები: მოდერნიზმი, ტ.ს. ელიოტი, განმანათლებლობა, ჰუმანიზმი, ჟან-ჟაკ რუსო.

შესავალი. ლიტერატურულ მიმდინარეობათა ევოლუცია კომპლექსურ, რელატიურ და დროში არათანაბრად გაწელილ პროცესს წარმოადგენს. შესაბამისად, ამა თუ იმ მოვლენის დათარიღება და მასთან ინდივიდუალურ ავტორთა მიმართებები, როგორც წესი, პირობითია, რაც მხატვრულ აზროვნებას და მის კვლევას ისტორიული კონკრეტიკისგან ათავისუფლებს და მას ერთგვარ ავტონომიას ანიჭებს.

მთელი ამ პირობითობიდან გამომდინარე, ლიტერატურული წარსულის რეკონსტრუქცია და ესთეტიკური ტენდენციების კვლევა 21-ე საუკუნეში მეტად დინამიკურ პროცესს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ თანამედროვე პოზიციიდან და ინტერდისციპლინარული კვლევის ფარგლებშია შესაძლებელი. ახალი ეპოქა და ახალი გააზრება არა მარტო აფართოებს ამა თუ იმ ნაწარმოებისა და შემოქმედის ინტერპრეტაციის მასშტაბს, არამედ კვლევის პროცესს დიალექტიკურ, მულტიდისციპლინარულსა და მრავალფეროვან ჩარჩოში სვამს. ლიტერატურის რომელიმე პერიოდის შესწავლა კონკრეტული მიმდინარეობის განსაზღვრის დონეზე მხოლოდ დესკრიფციული და

შეზღუდული ანალიზის საშუალებას იძლევა; ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ნებისმიერი ლიტერატურული პროცესის გადაფასების ჭრილში მოქცევა, რის შედეგადაც დიალექტიკურად გაანალიზდება საკვლევი თემატიკა.

გადაფასების ტენდენცია მე-20 საუკუნის მოდერნიზმისა და მისი შემდგომი კულტურული განვითარების ერთ-ერთ ცენტრალურ იმპულსს წარმოადგენს. მოდერნისტი მწერლები და თეორეტიკოსები უარყოფდნენ არა მხოლოდ უშუალოდ მათ წინამორბედთა ესთეტიკურ ტენდენციებს (ვიქტორიანული ეპოქა, რომანტიზმი), არამედ მოითხოვდნენ მთლიანად კულტურის ისტორიის გადაფასებას, ჰომეროსიდან მოყოლებული მათ თანამედროვე ეპოქამდე. ლიტერატურულ ტრადიციათა „გადაფასება“ – “Revaluation” ინგლისელმა კრიტიკოსმა ფ.რ. ლივისმა თავისი ცნობილი ნაშრომის სათაურით (*Revaluation: Tradition & Development in English Poetry,* 1936), ფაქტობრივად, ტერმინად დაამკვიდრა. ეს პრინციპი ერთ-ერთი იმ მრავალთაგანია, რაც მოდერნიზმსა და მის შესწავლას განსაკუთრებულს ხდის.

სტატიის მიზანია მოდერნიზმის პერსპექტივიდან კონკრეტულად განმანათლებლობის გადაფასების მოვლენის შესწავლა. ამ პროცესის წარმოსაჩენად კი ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანგლო-ამერიკელი პოეტისა და თეორეტიკოსის ტ.ს. ელიოტის თეორიულ შეხედულებებზე. სტატია მიზნად ისახავს იმ თეორიული ნაპრალის ამოვსებას, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობაში მოდერნიზმს როგორც განმანათლებლობის მოძღვრების გადაფასებად აღიქვამს. შესასწავლი საკითხის მეთოდოლოგიასა და კვლევის მოქნილობაში ინსტრუმენტულ როლს ასრულებს 2021 წელს გამოშვებული ტ.ს. ელიოტის სრული პროზის 8-ტომეული: (*The Complete Prose of T.S. Eliot,* Johns Hopkins University Press; Critical edition, 2021), სადაც სისტემურადაა თავმოყრილი მისი მრავალი დაკვირვება და კომენტარი მოცემულ საკითხზე. შედეგად, ნათელი ხდება, რატომ და როგორ უპირისპირდება მოდერნიზმი განმანათლებლობას ადამიანის არსის, ისტორიის გაგების, სამყაროს აღქმისა და პერსონაჟთა შექმნის პრინციპების მხრივ.

მეთოდები. სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდოლოგია კომპლექსურია: იგი გულისხმობს, ტ.ს. ელიოტისა და მოდერნიზმის მთავარი თეორეტიკოსების მიერ გამოთქმული განმანათლებლობის საწინააღმდეგო იდეების შესახებ არსებული მასალის სისტემატიზირებასა და ანალიზს, ასევე იმ მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომების შედარებით ანალიზს, რომლის საშუალებითაც აშკარა გახდება განმანათლებლობის გადაფასების ტენდენციები მოდერნის ხანის კულტურულ/ლიტერატურულ მიმდინარეობებში. აქედან გამომდინარე, კვლევა ინტერდისციპლინარულია: ესთეტიკურ ტრადიციათა გადაფასება ინგლისურ მოდერნიზმში ვერ იქნება წარმოდგენილი მხოლოდ შედარებითი ლიტერატურათმოცდეობითი მიდგომით, ამა თუ იმ ნაწარმოების ანალიზისა და შეპირისპირების მეთოდით; საჭიროა ხელოვნების ისტორიისა და კრიტიკის მიმართულების გამოყენება როგორც მეთოდისა, რათა საერთო ესთეტიკური ძვრები და გადაფასების ტენდენციები სრულყოფილად იყოს წარმოჩენილი.

მსჯელობა და შედეგები. ლიტერატურული მოდერნიზმი რთული და არაერთგვაროვანი მოვლენაა, რომელიც მრავალ თეორიულ და ესთეტიკურ თვალსაზრისს მოიცავს, ხოლო მისი ზოგადი მახასიათებლები მეტნაკლებად ყველა მოდერნისტი მწერლის (მიუხედავად მათი რეგიონალური სპეციფიკისა) შემოქმედებაში გვხვდება, იქნება ეს ტ.ს. ელიოტი, თ. მანი თუ უ. ფოლკნერი. თუმცა, მოდერნიზმის ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ და ცენტრალურ თავისებურებას ევროპულ კულტურულ ტრადიციათა გადაფასებისაკენ სწრაფვა წარმოადგენს (Eliot, 2014: 67-68). შემოქმედთა

ნებისმიერი ახალი თაობა, რომელსაც ახლებური ესთეტიკური ტენდენციები აქვს, ცდილობს უშუალო წინამორბედთა პრინციპების უგულებელყოფას საკუთარი ხედვის უკეთ დასამკვიდრებლად. მოდერნიზმის შემთხვევაში, ეს ტენდენცია განპირობებული იყო კაცობრიობის კულტურულ ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი დასასრულის ეტაპით - რენესანსული ჰუმანიზმის, მისი მემკვიდრე განმანათლებლობისა და რომანტიზმის ამაღლებული იდეალების დაკნინებითა და დაშლით. ამავე პერიოდში, კერძოდ მე-19 საუკუნის დასასრულთან ერთად, წარსულს ჩაბარდა ვიქტორიანული ეპოქა - ჰუმანიზმისა და ბურჟუაზიული კეთილდღეობის მქადაგებელი ხანა. როგორც თ. კობახიძე აღნიშნავს, დასავლურ ცნობიერებაში ჰარმონიულ-ოპტიმისტური განწყობილება კრიზისულით ჩანაცვლდა (კობახიძე, 2019: 6-8). მწერლობა და ზოგადად ხელოვნება დადგა მეთოდოლოგიური პრობლემის წინაშე, თუ რამდენადაა შესაძლებელი გარესამყაროს ფიზიკურ-მატერიალური აღწერა მაშინ, როდესაც პოზიტივისტურად გაგებული ემპირიული რეალობა არ აღმოჩნდა თვითკმარი და სრულყოფილი. ბაძვის, იგივე მიმეზისის პრინციპით გარესამყაროს ასახვა (რასაც რეალიზმი და ნატურალიზმი მიმართავდა) დამახინჯებული და შეუმდგარი ფენომენი გახდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში მოდერნისტი მწერლები უარყოფენ მიმეზისსა და სინამდვილის თანმიმდევრეულ ასახვას, ე.წ. ბაძვას. მოდერნისტებამდე, ჯერ კიდევ ფ. ნიცშე საუბრობდა სამყაროს შეუცნობ არსზე: „სამყარო, რომელშიც ჩვენ რაღაცაში გვარგია, რომელთანაც ჩვენ დაკავშირებულები ვართ, ყალბია, ვინაიდან არაფერია მასში ხელშესახები, ხელმოსაჭიდი [...] იგი თითქოსდა ხელახალი სიყალბის ქმნაშია ჩართული, რომელიც არასოდეს გადაიქცევა ჭეშმარიტებად: რადგან არ არსებობს *ჭეშმარიტება.* „ (Nietzsche, 1967: 13).

ამრიგად, გამოიკვეთა რამდენიმე კრიზისი. პირველ რიგში, სინამდვილის შემეცნების კრიზისი (გარესამყაროს შემეცნება რაციონალური აღქმის ფარგლებს გარეთაა, ადამიანი გაუცხოებულია გარემოს მიმართ), სუბიექტურობის კრიზისი („მე“-ს დისინტეგრაცია, ადამიანი საკუთარი თავის მიმართაა გაუცხოებული) და ენის კრიზისი(ენასა და ენობრივ ნიშნებს აღარ შეუძლია სამყაროს მოვლენების გამოხატვა და აღნიშვნა) (ბრეგაძე, 2018: 195). ამ ყველაფერმა ადამიანში და კულტურულ აღქმაში გადაფასება აქტუალური გახადა.

წინამორბედთა პრინციპების უარყოფა მოდერნისტებისთვის ვიქტორიანულ ესთეტიკასთან მკაცრ დაპირისპირებაში გამოიხატა, თუმცა „მაღალი მოდერნიზმის“ შემთხვევაში, მისი წარმომადგენლები არა უბრალოდ რომელიმე კონკრეტული ხანის, არამედ, ფაქტობრივად, მთელი ევროპული კულტურული დანატოვარის ახლებურად გადააზრებას ცდილობდნენ. ეს ერთი შეხედვით მკაცრი და რადიკალური დამოკიდებულება უფრო გასაგები ხდება, როდესაც ვაანალიზებთ, რომ რენესანსიდან მოყოლებული ყველა ფილოსოფია ძირითადად ერთი და იგივეა (მაგალითად, ადამიანის აღქმის კონცეფციის კუთხით); მათი ოჯახური მსგავსება დიდია და აშკარა განსხვავება ისაა, რომ გვაქვს ერთი და იგივე ტიპის განსხვავებული სახეობანი, როგორც კრიზისული ხანის მოაზროვნე ტ.ე. ჰიუმი წერს ნაშრომში „განსჯანი“ (ჰიუმი, 2019: 32). იგი ახმოვანებს დამოკიდებულებას, რომელიც ბუნდოვანი იდეების სახით ჯერ კიდევ ფ. ნიცშესთან (ტრადიციული ლიბერალიზმის კრიტიკა), რ. ვაგნერთან (მუსიკალური პოეტიკის მითოლოგიზაცია), ვ. ვორინგერთან (ხელოვნების გეომეტრიული გააზრება), ი. ბურკჰარდტთან (რენესანსული ჰუმანიზმის გადაფასება) და სხვა არაერთ მოაზროვნესთან იკვეთებოდა. ჰიუმის აზრით, რენესანსულ იდეალთა გაბატონებამ ევროპული საზოგადოების ბუნებრივი დეგრადაცია გამოიწვია. ამ პროცესის მთავარ პრობლემად და ‘დამნაშავედ’ კი იგი განცალკევებით ასახელებს მე-18 საუკუნის ფრანგ ფილოსოფოსს ჟან-ჟაკ რუსოს. საბუნებისმეტყველო მიღწევების შემდეგ, ადამიანმა თავი სამყაროს ცენტრად მიიჩნია და ამის შემდეგ მის მსოფლაღქმაში სიღრმისა და ინტენსიურობის ადგილი დაიკავა ბრტყელმა და სრულიად უსაფუძვლო ოპტიმიზმმა, რომელმაც დეგრადაციის პირველი საფეხური რუსოს მოძღვრებაში გაიარა და საბოლოოდ, იმ მანკიერებად

მოევლინა ახალ ხანას. რაც შეეხება უშუალოდ ჰუმანიზმის საფრთხეებს, ჰიუმი წერს, რომ „რენესანსული ჰუმანიზმი იმ დაავადების მიკრობს შეიცავს, რომელიც სრულ განვითარებას რომანტიზმში ჰპოვებს“ (ჰიუმი, 2019: 11), ხოლო როგორც ლიტერატურის განვითარების ქრონოლოგიამ გვაჩვენა, ეს რომანტიზმი გარდაიქმნა ვიქტორიანულ ესთეტიკად, რასაც ასე აგრესიულად უპირისპირდებოდნენ მოდერნისტები. ამგვარი გააზრება ნათლად გამოკვეთს ორ დაპირისპირებულ პოლუსს, რომლის ერთ მხარეზე მოდერნისტები და ე.წ. კრიზისის თეორეტიკოსები, ხოლო მეორეზე ჟან-ჟაკ რუსო შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

ინგლისელი კრიტიკოსი და პოეტი, ტ.ს. ელიოტი 1926 წლის ესეიში რუსოს „ბინძურ სენად“ მოიხსენიებს (T.S. Eliot, 2014: 2). რუსოს მართლაც ჰქონდა აგრესიული კრიტიკის მიზიდვის უნარი. მიუხედავად საფრანგეთის რევოლუციამდე ათი წლით ადრე გარდაცვალებისა, სწორედ მას ეძახდნენ „გიჟ სოკრატეს“ და მასიურად ამ რადიკალური ისტორიული მოვლენის მთავარ წამქეზებლად აცხადებდნენ (Burke, 1989: 313). რუსოს ერთსულოვანი კრიტიკის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ტ.ს. ელიოტის ჰარვარდელი პროფესორის ირვინგ ბებიტის მოსაზრება, რომ სწორედ რუსო იყო რომანტიზმის „ბოროტი გენიოსი“ და ინგლისურენოვანი კულტურის მორალური ვირუსი (Babbitt, 1924: 144-145). ელიოტი თავისი მასწავლებლის წიგნს რუსოზე ამგვარად აფასებდა - „მოთმინებით სავსე, დეტალური და იმპერსონალური გამოკვლევა ავადმყოფობისა“, სადაც ავადმყოფობა რუსოს აღნიშნავდა. ელიოტის 1916 წლის ესეში ლაიბნიცზე და ბრედლიზე კი ვკითხულობთ - „არცერთი ფილოსოფოსია ლაიბნიცზე ფანტასტიკური...მაგრამ იგი სახიფათოა. დეკარტე კლასიკაა და მკვდარია. ვოლტერი ბრძენი და არასახიფათო მოაზროვნეა. რუსო არც კლასიკაა, არც ბრძენია, იგი შთაგონებისა და ინტრიგნობის უშრეტი წყაროა.“ მიუხედავად ამისა, იგი თავის სტუდენტებთან აღნიშნავდა, რომ ვისაც სურდა გაეგო თუ როგორ წარმოიშვა მეცხრამეტე საუკუნე მეთვრამეტედან, განმანათლებლები და განსაკუთრებით რუსო უნდა წაეკითხა (Eliot, 2014: 286). ელიოტი ცდილობდა რომანტიზმის საწინააღმდეგო მუხტი ინგლისშიც გაემყარებინა. სწორედ ამიტომ, როგორც ჟურნალ ‘კრაიტერიონის’ რედაქტორი, იგი, ფაქტობრივად, ცენზორის როლს ითვისებდა და უარს ამბობდა დაებეჭდა იმ ადამიანთა სტატიები, ვინც რუსოსა და მისი იდეების გამზიარებლები იყვნენ. იმავე პერიოდში ე. პაუნდი, ისევე როგორც მისი ადრეული მენტორი უ.ბ. იეიტსი, რუსოს იდეებს დამღუპველსა და შხამიანს უწოდებდა. იეიტსი, მაგალითად, გულუბრყვილო რაციონალიზმსა და არაისტორიულ ტემპერამენტში სდებდა ფრანგ განმანათლებელს ბრალს (Yeats, 1962: 314, 350, 363). იგივე დამოკიდებულებას ვაწყდებით ჯ. კონრადის ავტობიოგრაფიულ წიგნში „პირადი ჩანაწერი და ზღვის სარკე“, სადაც მწერალი რუსოს განუწყვეტლივ აკნინებს, ხელოვნების უცოდინარ მორალისტად მოიხსენიებს, რომელსაც არანაირი წარმოსახვა არ ჰქონდა. თუმცა ყველაზე საინტერესო დასკვნა კონრადის კრიტიკულ ხედვაში ისაა, რომ „ხელოვნება და შთაგონება დედამიწიდან მოდის; ადგილიდან, რომელსაც აქვს წარსული, ისტორია, მომავალი და არა რაღაც სამოთხიდან“ (Conrad, 1998: 90-93). მოგვიანებით, 1929 წელს, ჯონ მიდლტონ მარი წერდა, რომ თანამედროვე კრიტიკა რუსოს „უსინდისოდ მოექცა“ და მიუხედავად ამ პათოსისა, წერილის ბოლოს დაასკვნა, რომ იგი მართლაც „იყო და ყოველთვის იქნება ძალიან სახიფათო ადამიანი“ (Murry, 1929: 416).

საინტერესოა კონკრეტულად რას წარმოადგენს ის სისტემა, რომელიც რუსოს ასეთ „სახიფათო“ ადამიანსა და დაუსრულებელი კრიტიკის ობიექტს ხდიდა ელიოტისა და მოდერნის ხანის მოაზროვნეებისთვის.

პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას რუსოსეულ ბუნებისკენ დაბრუნების ფენომენს, რაც, მაგალითად, ელიოტის აზრით, მცდარი წარმოდგენა იყო, რადგან პრაქტიკაში არ არსებობდა არანაირი „ბუნებაში დაბრუნება“ და საკამათო იყო ადამიანის ე.წ. ბუნებრივი მდგომარეობის საკითხიც, რაზეც ფრანგ ფილოსოფოსს საკმაოდ სპეკულაციური

წარმოდგენები ჰქონდა. მისი აზრით, არსებობს ბუნებრივი სიკეთე, რომელიც კაცობრიობის განუყოფელი მახასიათებელია. რუსო, ისევე როგორც საუკუნეებით ადრე მოღვაწე რენესანსის მოაზროვნეები, თავისუფალ ნებას ღირსების მაჩვენებლად აღიქვამს. ანალოგიურად, პეტრარკას ტრადიციის გამგრძელებელი, ადრეული ჰუმანიზმის წარმომადგენელი და მოაზროვნე ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა თავის ტრაქტატში – „ადამიანის ღირსების შესახებ“ – ღმერთის ენით ადამის გმირს მიმართავს, რომ იგი სხვანაირი შექმნა და თვითონ უნდა აღმოჩინოს საკუთარი ბუნება. რუსოს აზრითაც, ადამიანს სერიოზული ტრანსფორმაციის უნარი აქვს და როდესაც იგი საზოგადოებრივ გარემოში ხვდება, „სულელი, შეზღუდული ცხოველიდან ჭკვიან არსებად და ადამიანად ყალიბდება“ (Mirandola, 2012: 54).

რენესანსული ჰუმანიზმისა და შემდეგ, განმანათლებლობის წიაღში, საკუთარი თავის ახლად შეცნობის იდეა ახალი ადამიანის შექმნის წინაპირობა გახდა. ადამიანის კონცეფცია დადებითი და პროგრესისკენ მიმართული კუთხით იქნა გააზრებული. თუმცა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა მე-20 საუკუნის ტენდენციების გათვალისწინებით. მაღალი მოდერნიზმის წარმომადგენლები ბუნებრივ ადამიანს ისე უყურებდნენ, როგორც მტერს. ისინი უარყოფდნენ ადამიანის ბუნებას და ლიტერატურისა და ეთიკის ნატურალისტურად აღქმას. ასეთი რადიკალურად ნეგატიური დამოკიდებულება იმის მიმართ, რაც საუკუნეების განმავლობაში გაიდეალებული იყო, გამოწვეული იყო კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კრიზისით. ეს სოციალური კატასტროფა სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობდა: ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, დარვინის თეორიები, იმპერიალიზმი და, რაღა თქმა უნდა, მსოფლიო ომი. შესაბამისად, მოდერნისტების ნამუშევრები ერთის მხრივ შეგვიძლია იმ კრიზისული ისტორიული სიტუაციის პასუხად აღვიქვათ, რომლის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზიც რენესანსული ჰუმანიზმის არამდგრადი და გაიდეალებული ადამიანის კონცეფცია იყო. თუმცა მეორეს მხრივ, საყურადღებოა, რომ რეალურად ომიც და მოდერნიზმიც ერთსა და იმავე მიზეზებმა გამოიწვია. რენესანსის პერიოდიდან მოყოლებულმა კულტურულმა ქვემოსვლამ, ზოგად ადამიანურ ღირებულებათა ნიველირებასთან ერთად, ხელოვნებაში - მოდერნიზმის, პოლიტიკაში კი პირველი მსოფლიო ომის სახე მიიღო. დიდმა ომმა და მსოფლიო წესრიგის საბოლოო დარღვევამ ცხადჰყო ის ადამიანური დისინტეგრაცია, რომელიც მე-20 საუკუნეში გამოიკვეთა.

ტ.ს. ელიოტის აზრით, როდესაც ადამიანი რუსოსეულ იდეალს მიჰყვება და კაცის ან ბუნების რადიკალური სრულყოფილების სჯერა, საგანთა აღრევა იწყება - ყალიბდება ადამიანურისა და ღვთაებრივის ჭეშმარიტი ბუნება, სრულყოფილების შემოტანით კი (რაც არსებითად ადამიანურს არც განეკუთვნება) იშლება საზღვრები ადამიანურ ურთიერთობაში (T.S. Eliot, 2014: 78). შესაბამისად, ვიღებთ *პიროვნების* ცნების დამახინჯებულ ვარიანტს. ლიტერატურულ ასპარეზზე, ასეთ განვითარებას რომანტიზმამდე და შემდეგ ვიქტორიანულ ეპოქამდე მივყავართ. სრულყოფილების შემოტანით თანაბრად მახინჯდება ეთიკური ღირებულებების ნამდვილი ბუნება. ამასთან ერთად, რელიგია, იქნება ეს ქრისტიანობა თუ ბუდიზმი, სრულიად უფუნქციო ხდება თავისი „ახსნის“ მცდელობებით. ამის ნათელი მაგალითია უკვდავების საკითხი - შუა საუკუნეების ადამიანს არ ჰქონდა პიროვნების ცნება, მაგრამ უკვდავების სწამდა; ხოლო რენესანსული აზროვნების წიაღში, სადაც პიროვნების ცნება ცენტრალური და პრიორიტეტული საკითხი იყო, ადამიანები თითქოს ფიქრობდნენ, რომ უკვდავები იყვნენ. შედეგად, ისინი არა მარტო საკუთარ თავს აღიქვამდნენ ყველანაირი ლოგიკის ფარგლებს გარეთ, არამედ არასწორად და ხშირად საზიანოდ იქცეოდნენ საზოგადოებრივ, კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში (ჰიუმი, 2019: 96). რუსოსთვის იდეალური ადამიანი, რომელიც რენესანსული ჰუმანიზმის იდეებით „იკვებება“, თავს ყველასგან უპირატესად მიიჩნევს და განსაკუთრებული თავისუფლების მოპოვების სურვილს ავლენს

ცხოვრების ყველა სფეროში (Rousseau, 1997: 64-66). ამავდროულად ეს ის ადამიანია, რომელიც მე-20 საუკუნის მსოფლიო ომებისთვის მყარ ნიადაგს ამზადებს. სწორედ ასეთი ტიპის დისინტეგრაციისა და კონფლიქტური სახის წარმოჩენითაა მოდერნისტული ლიტერატურა დაინტერესებული. ყალბი სრულყოფილებით მიღწეულ მთლიანობას მოდერნისტული, კრიზისული იდეალები არღვევს.

„დაახლოებით 1910 წლის დეკემბერში ადამიანის ბუნება შეიცვალა.“ - წერდა ვირჯინია ვულფი ესეიში „მისტერ ბენეტი და მისის ბრაუნი“ - „ადამიანთა შორის ურთიერთობები შეიცვალა - ურთიერთობა ბატონსა და მსახურსა, ცოლსა და ქმარს, მშობლებსა და შვილებს შორის. ხოლო როდესაც ადამიანებს შორის ურთიერთობები იცვლება, ამავდროულად ცვლილებებია რელიგიაში, ქცევასა, პოლიტიკასა და ლიტერატურაში“ (Woolf, 1924: 4). მე-20 საუკუნის დასაწყისში დასავლური კულტურის ევოლუციაში მართლაც მოხდა რადიკალური ცვლილება როგორც აზროვნებასა და ქცევაში, ისე კულტურულ ცხოვრებაში, რაც შესამჩნევი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდიდან გახდა და სიმბოლურად მეორე მსოფლიო ომით დასრულდა. ეს ცვლილება შეგვიძლია ადამიანის კონცეფციის გადაფასების კუთხით განვიხილოთ. თუ რუსოს ემილი ჰუმანისტური აღზრდისა და ოპტიმიზმის საუკეთესო მაგალითია ლიტერატურაში, მოდერნიზმის გმირები, იქნება ეს ჯ. ჯოისის ლეოპოლდი, ვ. ვულფის კლარისა, თუ ტ.ს. ელიოტის სუინი, რენესანსული ჰუმანიზმის დეგრადაციის მაგალითები არიან. მათზე დაკვირვებით, ადამიანები არ არიან ბუნებრივად კეთილშობილები და არც ცივილიზაციის პროგრესისკენ მიმართულები. ჰუმანიზმთან მოდერნისტული დაპირისპირების თანახმად, ის რაციონალობა, რომელიც განმანათლებლობის ისტორიული პროგრესის იდეალს ეფუძნება, სხვა არაფერია თუ არა მითი. ამგვარი ე.წ. ანტი-ჰუმანიზმი იმ დაშვებას აკეთებს, რომ შესაძლებელია ირაციონალურმა გადაწონოს რაციონალური და ქრონოლოგიური წინსვლა სულაც არ წარმოადგენდეს რეალურ პროგრესს. მართლაც, „მოდერნისტი“ პერსონაჟები საკუთარ ირაციონალურ ანთროპოლოგიურ არსსა და არაცნობიერის წიაღიდან წამოსულ სწრაფვებს ექვემდებარებიან და შედეგად, ვერასოდეს დგამენ რაციონალურ ნაბიჯებს. მოდერნისტულ მწერლობაში პერსონაჟი და ადამიანი კონფლიქტების არეალში არის მოქცეული. რუსოსეული ადამიანი, რომელიც კაცობრიობის „ხერხემლის“ ნაწილი და მისი წინსვლის მთავარი მოქმედი პერსონაჟია, აქტიური პოზიციიდან მეორეხარისხოვან, დამკვირვებლურ პოზიციაზე ინაცვლებს და ღირებულ გავლენას ვერ ახდენს გარესამყაროზე. მას სამოქმედო არეალი მხოლოდ პოსტფაქტუმ ეძლევა.

ჰუმანიზმთან მოდერნისტული დაპირისპირების ეპიცენტრი უფრო გამოკვეთილად ტ.ს. ელიოტის თეორიულ შემოქმედებაში გვხვდება. ეს შეხედულებები კი ასახვას მის პოეზიაში ჰპოვებს. მოდერნიზმამდე დასავლური მხატვრული აზროვნების მთავარი მიზანი იყო ადამიანისთვის რუსოსეული „გაშინაურების“ ილუზიის შექმნა, რაც საბოლოოდ რომანტიზმში გადაიზარდა. სწორედ ამ ილუზიის შედეგია ადამიანის ის სახე, რომელიც მოდერნისტულ ლიტერატურაში გვხვდება - მისი სრული აღსასრულის გარდაუვალობა, ეგზისტენციალური შიში და უპერსპექტივობა, კომუნიკაციის შეუძლებლობა, სიკვდილის ესთეტიკა, გაუცხოება, ეროსისა და თანატოსის დიქოტომია და ა.შ. ეს მოტივები ნათლადაა ასახული ელიოტის პირველ პოპულარულ, გრძელ პოემაში „ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო საგალობელი“ (1915). ლექსში თანამედროვე ადამიანის კრიზისული კონცეფცია მთავარი გმირის დეტალური დისინტეგრაციითაა გამოკვეთილი. საზარეულ და არაბუნებრივ გარემოში მოხვედრილი სასიყვარულო საგალობლის ავტორი, პრუფროკი, მკითხველს წარმოუდგება როგორც მელოტი, „გალეული ხელ-ფეხით“ (64), რომელიც მუდამ შფოთავს:

„რისი თქმა მსურდა, გამეფანტა...გავფანტულვარ...

თავს ვერ ვერევი...

თითქოს ეკრანზე ჯადო-ლამპრით ამოშიშვლდნენ
მთელი ნერვები.“
(ელიოტი, 152-156
თარგმანი ეკუთვნის დავით წერედიანს)

პრუფროკის იდენტობა მის მიერ ყალბი სახეების მორგებასთანაა დაკავშირებული და იგი პოემაში პაროდიულ მოგზაურად წარმოგვიდგება. ლირიკული გმირი ხასიათდება გაუბედაობით, არაქმედითობით, პარანოიით და ა.შ., შესაბამისად, პოეტოლოგიური თვალსაზრისით, ანუ იმ ეფექტის თვალსაზრისით, რომელსაც პოემა მკითხველზე ახდენს, პრუფროკი ნაკლებად ეპიკურია როგორც გმირი. მუდმივი ხაზგასმა მისი გარეგნობის არაერთ ნაკლზე სწორედ მის უკმარისობასა და შეუმდგარ იდენტობაზე უსვამს ხაზს. პრუფროკის მაგალითით, ელიოტმა ნათელი გახადა, რომ მოდერნისტულ მწერლობაში ადამიანს (შესაბამისად, პერსონაჟს) აღარაფერი საერთო აღარ აქვს აღორძინების და განმანათლებლობის პერიოდის ადამიანთან (პერსონაჟთან).

გარემოსა და ბუნების აღქმის მხრივ, მოდერნისტულ პოეტიკაში ხშირად ვხვდებით ლპობის, სიკვდილის, პათოლოგიის, ავადმყოფობის, ბუნების კატაკლიზმების ტოპოსებს და ასეთ სამოქმედო სივრცეში პერსონაჟები გაუცხოებულებად არიან გამოყვანილნი. ამ ტენდენციის ყველაზე ნათელი ასახვა ელიოტის „უნაყოფო მიწაშია“ (1922) მოცემული. პოემა წარმოადგენს მთელ რიგ კლიმატის ცვლილების ეფექტებსა და სიმბოლიკას - მის პეიზაჟში ათობით მაგალითია ისეთი ამინდისა, რომელიც მწყობრიდან არის ამოვარდნილი და არცერთ ბუნებრივ ნორმას არ ერგება. წვიმს, როცა და სადაც არ უნდა წვიმდეს; ზედმეტად ცხელა იმისათვის, რომ მცენარეებმა და ცხოველებმა გაიხარონ და იცოცხლონ, პერსონაჟებს მოულოდნელად თავს ატყდებათ წყალდიდობა და ხანძარი და, რაც მთავარია, ყველა ეს სიტუაცია ატარებს ადამიანის ჩარევის უტყუარ ნიშნებს. ამ ყველაფერთან ერთად, ელიოტის პერსონაჟებს არ გააჩნიათ რაიმე ღირებულებითი წარმოდგენები, არც ეთიკური და მყარი მსოფლმხედველობრივი პრინციპები. ადამიანის სახე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ანთროპოცენტრისტული არსით იყო წარმოდგენილი, მე-20 საუკუნეში რადიკალურად გაუცხოებულია. ამგვარად, მოდერნისტული ეთიკის მიხედვით, ადამიანის ბუნება დისოცირებული, იდენტობადაკარგული და ძალზედ კრიზისულია.

ადამიანის, როგორც ძირფესვიანად კარგი და კეთილშობილი არსების კონცეფცია რენესანსული ჰუმანიზმიდან რუსოს გზით განვითარდა, უტილიტარულ რომანტიზმამდე მივიდა და საბოლოო კულმინაციას მე-20 საუკუნის კრიზისის ხანაში მიაღწია.

დასკვნა. რუსოს განმანათლებულ-იდეალისტურმა ფილოსოფიამ წამოაყენა ადამიანის აპრიორულობის იდეა, რაც გულისხმობდა მუდამ ჰარმონიულ, რაციონალურ ადამიანს და მის გამოცხადებას სამყაროს ცენტრად. ამ ანთროპოცენტრიზმს XIX საუკუნეში დაუპირისპირდა პოზიტივიზმი (დარვინი, ნიცშე, ფროიდი…) და მათ თავისებურად წარმოაჩინეს იდეალისტური, მყარი სუბიექტურობის ნაკლოვანებები. მოდერნიზმის ეპოქაში კი დეჰუმანიზაციისა და დესაკრალიზაციის პროცესებმა საბოლოოდ დასრულდა ე.წ. მყარი სუბიექტურობა (rigid subjectivity), რომელსაც რენესანსული ჰუმანიზმის წიაღში ჰქონდა მთავარი ღირებულებები და მკაცრად განსაზღვრული ეთიკური პრინციპები. ამის ნაცვლად, აღნიშნულ ეპოქაში ადამიანი იქცა იდენტობადაკარგულ მოცემულობად (ე.წ. „მე“-ს რღვევა) და შედეგად, მან დაკარგა გარესამყაროზე გავლენის მოხდენის უნარი. ადამიანის სახე, რომელიც, მაგალითად, რომანტიზმის წიაღში დინამიკური და ტრანსცენდენტური იყო, მოდერნიზმში გაქვავებული, პარალიზებული და დარღვეული გახდა. იგი, ფაქტობრივად, ადამიანის კონცეფციის დისინტეგრაციით ანგრევს როგორც ანთროპოცენტრულ ისე რუსოსეულ განმანათლებლურ იდეოლოგიას. მოდერნიზმის

ადამიანი/გმირი არა თუ წარმართავს თავის ცივილიზაციას, არამედ თვითონ იშლება ეგზისტენციაში. ამაზე სწორ შეფასებას აკეთებს ნიცშე, როცა წერს, რომ „სამყაროს ძირითადი მახასიათებელი უკუნითი უკუნისამდე არის ქაოსი, სამყარო მოკლებულია წესრიგს, გააზრებულ დაგეგმვას, ფორმას, სიბრძნეს და მშვენიერებას“ (Nietzsche, 1997: 467). ამრიგად, განმანათლებლობისა (აქცენტით რუსოზე) და რეალიზმის მსოფლმხედველობრივი თუ პოეტოლოგიური პრინციპების კრიტიკით, საბოლოოდ წარსულში რჩება განმანათლებლობის ანთროპოცენტრისტული წარმოდგენები.ხოლო რენესანსისა და განმანათლებლობის პერიოდების შემოქმედებიდან სახე-სიმბოლოების „სესხება“ და ამაღლებული სამყაროს ირონიულ-სკეპტიკური დეჰეროიზაცია წარმოქმნის იმ პაროდიულ შრეს, რომლითაც გამსჭვალულია ტ.ს. ელიოტის მთელი პოეზია, რომელიც მის თეორიულ შეხედულებებთან ერთად წარმოადგენს ჰუმანიზმისა და განმანათლებლობის პერიოდის ლიტერატურული ტენდენციების გადაფასებას.

საბოლოოდ, მოდერნისტულმა პოეტიკამ ტრანსფორმაცია გაუკეთა იმ აზრობრივ სისტემას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შემეცნებით ღირებულებას ატარებდა და სანაცვლოდ, მან ჩამოყალიბებული, მხატვრული სისტემის სახე მიიღო.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბრეგაძე, კ. (2018). *მოდერნი და მოდერნიზმი.* თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

ელიოტი, ტ.ს. (2018). ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო სიმღერა. *ლიტერატურული გაზეთი.* თბილისი: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, მწერალთა სახლი. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/272554/1/Literaturuli_Gazeti_2018_N9.pdf

კობახიძე, თ. (2019). წინასიტყვაობა ტომას ერნესტ ჰიუმის „განსჯანისთვის“. *განსჯანი.* თბილისი: ინტელექტი.

ჰიუმი, ტ. ე. (2019). *განსჯანი.* თბილისი: ინტელექტი.

Babbitt, I. (1924). *Democracy and Leadership.* Boston and New York: Houghton Mifflin Co.

Burke, E. (1989). *The Writings and Speeches of Edmund Burke. Volume VIII: The French Revolution 1790–1794*, ed. Paul Langford and L.G. Mitchell. Oxford: Oxford University Press.

Conrad, J. (1998). *A Personal Record and The Mirror of the Sea*. ed. Mara Kalnins. London: Penguin.

Eliot, T. S. (2014). *The Complete Prose of T. S. Eliot: The Critical Edition, Volume 2: The Perfect Critic, 1919-1926 (Anthony Cuda and Ronald Schuchard)*. The Johns Hopkins University Press and Faber & Faber.

Murry, J.M. (1929). “The Meaning of Rousseau”, Times Literary Supplement

Nietzsche, F. (1967). *The Will to Power*, (translated by Walter Kaufmann and R. J. Hollingdale), New York: Random House Publishing

Nietzsche, F. (1997). *Daybreak: Thoughts on the Prejudices of Morality*, ed. Maudemarie Clark and Brian Leiter, trans. R.J. Hollingdale. Cambridge: Cambridge University Press.

Pico della Mirandola, G. 1463-1494, (2012) *Oration on the Dignity of Man (New Translation and Commentary)*. New York: Cambridge University Press.

Rousseau, J.J. (1997). *The Discourses and Other Early Political Writings*, ed. and trans. Victor Gourevitch. Cambridge: Cambridge University Press.

Woolf, V. (1924). *Mr. Bennett and Mrs. Brown*. London: Hogarth Press.

Yeats, W.B. (1962). *Explorations*. London: Macmillan.

REFERENCES:

bregadze, k'. (2018). *moderni da modernizmi [Modern and Modernism]*. Tbilisi: Shota Rustavelis q'artuli lit'erat'uris instituti. [Shota Rustaveli Institute of Georgian Literature]

eliot'i, t'.s. (2018). j. alpred p'ruprok'is sasiqvarulo simghera [The Love Song of J. Alfred Prufrock]. *lit'erat'uruli gazeti [Literature Journal]*. Tbilisi: Writers House https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/272554/1/Literaturuli_Gazeti_2018_N9.pdf

k'obakhidze, t. (2019). ts'inasit'qvaoba t'omas ernest' hiumis „gansjanistvis“ [introduction to T.E. Hulme's Speculations]. *gansjani [Speculations]*. Tbilisi: Intelekti.

hiumi, t'. e. (2019). *gansjani [Thoughts]*. Tbilisi: Intelekti.

Babbitt, I. (1924). *Democracy and Leadership.* Boston and New York: Houghton Mifflin Co.

Burke, E. (1989). *The Writings and Speeches of Edmund Burke. Volume VIII: The French Revolution 1790–1794*, ed. Paul Langford and L.G. Mitchell. Oxford: Oxford University Press.

Conrad, J. (1998). *A Personal Record and The Mirror of the Sea*. ed. Mara Kalnins. London: Penguin.

Eliot, T. S. (2014). *The Complete Prose of T. S. Eliot: The Critical Edition, Volume 2: The Perfect Critic, 1919-1926 (Anthony Cuda and Ronald Schuchard)*. The Johns Hopkins University Press and Faber & Faber.

Murry, J.M. (1929). "The Meaning of Rousseau", Times Literary Supplement

Nietzsche, F. (1967). *The Will to Power*, (translated by Walter Kaufmann and R. J. Hollingdale), New York: Random House Publishing

Nietzsche, F. (1997). *Daybreak: Thoughts on the Prejudices of Morality*, ed. Maudemarie Clark and Brian Leiter, trans. R.J. Hollingdale. Cambridge: Cambridge University Press.

Pico della Mirandola, G. 1463-1494, (2012) *Oration on the Dignity of Man (New Translation and Commentary)*. New York: Cambridge University Press.

Rousseau, J.J. (1997). *The Discourses and Other Early Political Writings*, ed. and trans. Victor Gourevitch. Cambridge: Cambridge University Press.

Woolf, V. (1924). *Mr. Bennett and Mrs. Brown*. London: Hogarth Press.

Yeats, W.B. (1962). *Explorations*. London: Macmillan.